საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 2 (2115) | პარასკევი, 5 იანვარი, 1996 წელი. | ფასი 25 თეთრი.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 102

1995 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მუშაობის უზრუნველყოფის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ

აღინიშნოს, რომ რესპუბლიკაში ბოლო წლებში შექმნილი მძიმე ეკონომიკური კრიზისისა და რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის სისტემის საწარმოებმა შეინარჩუნეს ქმედუნარიანობა და შეუფერხებლად ახორციელებენ სამგზავრო-სატვირთო გადაზიდვებს, ასრულებენ სახელმწიფოს უშიშროების, თავდაცვის, სამშველო, სამთავრობო და სხვა საავიაციო სამუშაოებს. მნიშვნელოვანი იყო დარგის ფუნქციონირების როლი აფხაზეთის მოვლენებისა და სამოქალაქო ომის დროს.

ამავე პერიოდში მოხდა სამოქალაქო ავიაციის სისტემის ძირეული რეორგანიზაცია, შეიცვალა მისი ორგანიზაციული სტრუქტურა, გაიმიჯნა სახელმწიფო და სამეურნეო ფუნქციები, ორგანიზაციულ-სამართლებრივი აგებულება მიუახლოვდა მსოფლიო სტანდარტებს.

ჩამოყალიბდნენ კონკურენტუნარიანი დამოუკიდებელი ავიასაწარმოები (ავიაკომპანიები, აეროპორტები და სხვ.). ხორციელდება სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რეკონსტრუქციისა და განახლების სამუშაოები. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წარმოებს თბილისის აეროპორტის განახლება, დაიგეგმა საჰაერო სივრცეში მოძრაობის მართვის სისტემები და სხვ.

განსაკუთრებული მნიშვნელობის გადაწყვეტილებაა მიღებული დარგის ახალ საფრენ ტექნიკაზე გადასვლის შესახებ. მიუხედავად მრავალი ორგანიზაციული, საფინანსო-ეკონომიკური და გარკვეულწილად ტრადიციის საწინააღმდეგო სიძნელეებისა, ათვისებულია პირველი „ბოინგის" ტიპის თვითმფრინავი. ავიაკომპანია „ორბმა" შეძლო ამერიკული მოთხოვნების დონეზე მფრინავთა, ინჟინერთა და ტექნიკოსთა მომზადება ამ თვითმფრინავის საექსპლოატაციოდ, გააფორმა კონტრაქტი ჯერ ერთი თვითმფრინავის, შემდგომ ეტაპზე კი 2-4 თვითმფრინავის მისაღებად.

ახალი ტექნიკა, მის მიღებასთან დაკავშირებული კონტრაქტით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებანი, უცხოელი პარტნიორისათვის მიცემული ტექნიკური და ორგანიზაციული გარანტიები მოითხოვენ ავიაკომპანიის დიდ პასუხისმგებლობასა და გამართულ, შეუფერხებელ მუშაობას, აგრეთვე საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტისა და სხვა რესპუბლიკური ორგანოების გარკვეულ ხელშეწყობასა და დახმარებას.

ყოვლად დაუშვებელი ხდება საბიუჯეტო ორგანიზაციების შეკ-[illegible]

[illegible]

პირობებში გათვალისწინებულ იქნეს, რომ ავიაკომპანიები საამორტიზაციო ანარიცხებისა და საკუთარი დაგროვების ხარჯზე უზრუნველყოფენ საიჯარო საჰაერო ხომალდების პროფილაქტიკურ და შესაკეთებელ სამუშაოებს.

7. ნება დაერთოს საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტს სარემონტო საწარმოებთან დადებულ შეთანხმებათა მი-[illegible]

[illegible]

რიისა და სენაკის აეროპორტების გადაცემის, თავდაცვის სამინისტროსთან ერთად მათი, აგრეთვე კოპიტნარის აეროპორტის ერთობლივი ექსპლუატაციის პრინციპები;

— სახელმწიფო საჭიროებისათვის ორი ვერტმფრენის შესყიდვის დაფინანსების საკითხი.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 98

1995 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი

მ. კობახიძის საქართველოს კულტურის მინისტრის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს მაია კობახიძე საქართველოს კულტურის მინისტრის პირველ მოადგილედ.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 101

1995 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

ნ. ულუმბერაშვილის საქართველოს ეკონომიკის მინისტრის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ნოდარ ულუმბერაშვილი საქართველოს ეკონომიკის მინისტრის პირველ მოადგილედ.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 99

1995 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი

მ. ნიკოლაიშვილის საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს მერაბ ნიკოლაიშვილი საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის პირველ მოადგილედ.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 103

1995 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

გ. კალანდაძის საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების მინისტრის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს გიორგი კალანდაძე საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების მინისტრის პირველ მოადგილედ.

ე. შევარდნაძე.

მიღება

წარმატებებს გისურვებთ, ბატონო ელჩო!

— სადაც უნდა ვიყო, ყოველთვის დავრჩები საქართველოს მეგობრად, რადგან იგი ჩემი მეორე სამშობლო გახდა, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან 3 იანვარს გამართულ მიღებაზე ირანის ისლამური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ფერეიდუნ ჰაჯიბინმა.

ფერეიდუნ ჰაჯიბინის, როგორც ელჩის უფლება-მოვალეობის ვადა ამოიწურა საქართველოში და ამ დღეებში იგი თავის სამშობლოში მიემგზავრება.

პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა ელჩს საქართველოში გაწეული მუშაობისათვის და გულითადი მოკითხვა და საუკეთესო სურვილები გადასცა ირანის პრეზიდენტს, ელჩს კი უსურვა წარმატებები თავის მომავალ საქმიანობაში.

მის აღმატებულებას ბატონ ე. ა. შევარდნაძეს საქართველოს პრეზიდენტს

პატივცემულო ბატონო შევარდნაძე!

ჩვენი სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან და სასიხარულო მოვლენად იქცა ის ფაქტი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 1995 წლის 12 დეკემბერს მიიღო რეზოლუცია „თურქმენეთის მუდმივი ნეიტრალიტეტი". დარწმუნებული ვართ, რომ თურქმენეთის ნეიტრალური სტატუსი შეესაბამება არა მარტო ჩვენს ინტერესებს, არამედ ყველა ჩვენი მეზობლისა და მეგობრის ინტერესებსაც.

ჩვენ ცხადად გვესმის, რომ დასახული მიზნის მიღწევაში ბევრად დაგვეხმარა მხარდაჭერა და ხელშეწყობა მეგობარი სახელმწიფოებისა, ისეთებისა, როგორიცაა თქვენი სახელმწიფო, რომელიც რეზოლუციის პროექტის თანაავტორად გვევლინება. პირადად და მთელი თურქმენი ხალხის სახელით მინდა გულითადი მადლობა გადაგიხადოთ. თურქმენეთის სახით მუდამ იგულეთ საიმედო მეგობარი და პარტნიორი.

ვსარგებლობ შემთხვევით და გილოცავთ დამდეგ ახალ წელს, გულითადად გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს — ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წარმატებებს, ხოლო ქართველ ხალხს ვუსურვებ კეთილდღეობასა და აყვავებას.

პატივისცემით
საფარმურატ ნიაზოვი,
თურქმენეთის პრეზიდენტი.

აშგაბადი, 1995 წლის 25 დეკემბერი.

ფოსტიდან

მადლობა პრეზიდენტსა და მის მეუღლეს

28 დეკემბერს კასპის ბავშვთა ფსიქონევროლოგიური პანსიონატის აღსაზრდელები დიდად გაახარა პრეზიდენტის ნაძვის ხის საჩუქრებმა, რომლებიც საქართველოს ბავშვთა ფედერაციამ გადასცა პანსიონატის აღსაზრდელებს, რის გამოც პანსიონატის დირექცია, აღმზრდელები და აღსაზრდელები დიდ მადლობას უხდით პრეზიდენტსა და მის მეუღლეს ქალბატონ ნანული შევარდნაძეს და ახალ წელს ვულოცავთ, ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ბედნიერ საქართველოში ცხოვრებას. კვლავაც დიდხანს ელვაწოთ ასეთი კეთილშობილური საქმეების კეთებისათვის.

აღმზრდელებისა და აღსაზრდელების სახელით დირექტორი
ლ. ფულაძე.

ბლიცინტერვიუ

ეკონომიკური ზრდის წელიწადი

კაცი ვერც თითებზე დაითვლის და ვერც კომპიუტერით, იმდენი პრობლემა აწუხებს დღეს საქართველოს ეკონომიკას, მაგრამ ამ დარგის ხელმძღვანელის ბატონ ვლადიმერ პაპავასთვის ჩამორთმეულ საახალწლო ბლიცინტერვიუში მხოლოდ ორი შეკითხვის დასმას დავჯერდით.

— ბატონო ვლადიმერ, რით დაგვამახსოვრა თავი განვლილმა წელიწადმა, მხოლოდ გაჭირვებით?

— გაჭირვებაზე არაფერს ვიტყვი, იგი ყველას თავს იყო და მის შეფასებაში, რა თქმა უნდა, ორიგინალური ვერ ვიქნები, სხვა მხრივ კი თავი 1995 წელში ორი მოვლენით დაგვამახსოვრა.

პირველი. ორწლიანი შესვენების შემდეგ (ამ პერიოდში უბიუჯეტოდ ვმუშაობდით) ქვეყანაში შეიქმნა და 1995 წლის დასაწყისში პარლამენტმა დაამტკიცა დეფიციტური, მაგრამ მაინც დაბალანსებული ბიუჯეტი. დაბალანსების წყარო იყო არა ეროვნული ბანკის საკრედიტო ემისია, არამედ ჰუმანიტარული დახმარებით მიღებული ხორბლისა და ფქვილის მონეტარიზაცია. ამით საფუძველი ჩაეყარა ქვეყანაში საფინანსო წესრიგის დამკვიდრების პირველ ეტაპს. რაც მთავარია, ჩვენ ჰიპერინფლაციური სპირალიდან გამოსვლა მოვახერხეთ.

მეორე, რითაც 1995-მა თავი დაგვამახსოვრა, ეს გახლავთ მთლიანობაში წარმატებით განხორციელებული ფულის რეფორმა, როდესაც ეროვნულმა ლარმა სამი სახის ვალუტა შეცვალა. ქვეყანა ამ რეფორმის ნაყოფს პრაქტიკულად უკვე იმკის.

— რა სიურპრიზს უნდა ველოდეთ ახალი, 1996 წლისგან?

— სიურპრიზზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ახალი წლიდან ჩვენ [illegible]

ყველას მოგვიწევს მკლავებდაკაპიწებული შრომა იმისათვის, რომ ქვეყანამ თავისი განვითარების ახალი ეტაპი დაიწყოს. [illegible]

ოთარ ხუციშვილი.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 100

1995 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი

ა. ბერიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ვეტერანთა მოძრაობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი, გენერალ-მაიორი ალექსანდრე ბერიძე დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.



აბჯარი

თბილისში დადის ჭარმაგი გენერალი

ბერიძე ცნობილი გვარია საქართველოში. სად არ ცხოვრობენ და მოღვაწეობენ ისინი — გურიაში, სამეგრელოში, იმერეთში, ქართლში, კახეთში, აჭარასა და აფხაზეთში. ყველგან სახელოვანი და სამაგალითონი არიან.

გადამდგარი გენერალ-მაიორი ალექსანდრე ბერიძეც მათი მო-[illegible]

[illegible] „[illegible] კვლავის" ორდენი, რომელიც 1941 წლის ბოლოს გადასცა ფრონტის სარდალმა, მარშალმა გ. ჟუკოვმა, ეს იყო „საბრძოლო ნათლობისას" დამსახურებული პირველი მხედრული ჯილდო.

ბრძოლები გრძელდებოდა. მაიორი ა. ბერიძე კვლავ ფრონტზეა. 1942 წლიდან იგი 365-ე მსროლელი დივიზიის პოლიტგან-[illegible]

[illegible] ვის" მესამე საბრძოლო ორდენით დააჯილდოვა.

მეორე მძიმე ჭრილობის მოშუშების შემდეგ, 1945 წლის იანვრიდან ა. ბერიძე ამიერკავკასიის ფრონტის ოფიცერთა გადასამზადებელი კურსების უფროსია. აქ მისი თაოსნობით ლექციებს კითხულობდნენ აკადემიკოსები კოტე ბაქრაძე, ანგია [illegible]

[illegible]

ვერა შამათავა.

ე ს სიტყვები „წინ-წყაროს" გენიალურ ავტორს — ჩვენს ბალბს ეკუთვნის: „წინ შემხვდა ქალი ლამაზი, სიტყვა ვუთხარ და იწყინა..." ...

ადამიანი დროში

აჭარის განათლების მინისტრი, ქალბატონი ნანი ბუზუნავა ერთ-ერთი მინისტრი ქალია საქართველოში. მაგრამ მას უფრო იმ ქლილი საქმეებით იცნობენ, უშურველად რომ აკეთებს ადამიანებისათვის. ხანდახან შემდეგ მადლობის თქმაც დავიწყებიათ, მაგრამ როგორც ქალბატონმა ნანიმ თქვა, სიკეთეს მაშინ აქვს ფასი, როცა მას უსასყიდლოდ, უანგაროდ აკეთებ.

თეთრი მანდილი იხსნის ქვეყანას

...

რთველის სიყვარულით ქვებავდნენ. დღესაც ქალმა უნდა გადაარჩინოს საქართველო. ქალის წმინდა, თეთრმა მანდილმა უნდა იხსნას ქვეყანა.

ღრმად მწამს, რომ ეს ასეც იქნება.

მარინე ნაკაიძე.

წიგნის პრეზენტაცია ამერიკაში

1996 წლის 6 იანვარს კალიფორნიის ... უნივერსიტეტში ... თამაზ გამყრელიძისა და ვიაჩესლავ ივანოვის მონოგრაფიის „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები" — ინგლისური გამოცემის საზეიმო პრეზენტაცია (გამომცემლობა „ვალტერ დე გროიტერ", ნიუ-იორკი-ბერლინი, 1994-95 წ.წ.), კალიფორნიის უნივერსიტეტმა და ამერიკის ლინგვისტური საზოგადოებამ წიგნის პრეზენტაციაზე მიიწვიეს ავტორები, სხვა გამოჩენილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები.

როგორც ცნობილია, ეს კაპიტალური ნაშრომი ინდოევროპული ენებისა და კულტურების შესახებ ... სხვა ნაშრომებში მოიპოვა ჰუმბოლდტის საერთაშორისო პრემია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და ივ. ჯავახიშვილის პრემია თბილისის უნივერსიტეტში. (საქინფორმი).

ფიქრები

„სიტყვა ვუთხარ და იწყინა..."

...

კეთილი იყოს შენი მობრძანება, იმედის წელო!

რომან მიმინოშვილი.

სატკივარი

...ლაგოდეხს გასცდებით თუ არა, ქვითკირის კედლის ნანგრევებია, თითქმის ზაქათალამდე... ეს „კავკასიის დიდი კედელია", თამარისდროინდელი, მთისა და ბარის გამყოფი და ლეკებისაგან დამცავი გალავანი — ამბობს გოდერძი ოთარაშვილი.

გოდერძი, ნანი ტარტარაშვილი, გერა მამულაშვილი, იმედა ბაბალაშვილი, ომარ ოთარაშვილი საერთაშორისო ახალგაზრდული კავშირიდან, „ჰერეთიდან" არიან — 1994 წლის 23 დეკემბერს რომ დაფუძნდა ცნობილი მოღვაწისა და კინორეჟისორის რევაზ ჩხეიძის ნების შექმნილ „ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესთან". 1995 წლის თებერვლიდან ეს ორგანიზაცია იურიდიულ პირად ითვლება და ასამდე წევრს აერთიანებს. დარბაზში 30 ახალგაზრდაა, ჩემი ინგილო ნაცნობკოლეგები სწორედ დარბაზის წევრები არიან, გოდერძი „ჰერეთის" პრეზიდენტია! წლეულს დაამთავრა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი კახის რაიონის სოფელ მთისძირიდან ჩამოსულმა ჰაბუკმა. ნანი მომავალი მედიკოსია, გერა — ვიცე-პრეზიდენტი, იგი მალე ჟურნალისტი გახდება, იმედამ კი უკვე დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, ისიც „ჰერეთის" ვიცე-პრეზიდენტია. ომარ ოთარაშვილმა, ორგანიზაციულ საქმეთა მმართველმა, უნივერსიტეტის კომერციის ფაკულტეტი არ იკმარა და ისევ მეორად ფაკულტეტზე ეუფლება იურისპრუდენციას.

ნანი კახ-ინგილოა არის, გერა ზაქათალელია, სოფელი მოსულია მამულაშვილების, ფიროსმანაშვილების ბუდე. წერეთლებიც ჩვენიდან წამოსულანო — ამას ასაბუთებენ სოფელ წერეთელტახტის სახელწოდებითაც...

— იმედა?

— მე კახის რაიონის სოფელ ქოთოქლოდან ვარ, ორმოცდაათიან წლებამდე მას შუახევი ერქვა...

ჰირი ჰერეთისაკენ!

...მაგრამ, მაგრამ, საინგილო, ჩვენი ძველი ჰერეთი, მარტო კახი და მისი შემოგარენი როდია! მართალია, კახმა დედაენაც შეინარჩუნა და სარწმუნოებაც, — ტყუილად კი არ თვლიან ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესიას 366-ედ, ის იყო და ის არის დღესაც ჩვენი უმთავრესი სალოცავი, იქ იმართება ხოლმე გაუხუნარი ეროვნული დღესასწაული „ქურმუხობა" გაზაფხულობით და შემოდგომობით — წმინდა გიორგის ხსენების დღეებში ...

...ისინი უკვე ოცდამეერთე საუკუნეში იხედებიან და უმზერენ განახლებულ ჰერეთს!

...კახამდე ბელაქანი და ზაქათალაა... ბელაქანში ერთადერთი ქართული სოფელია — ითითალა, ზაქათალაში კი ორი: ალიაბადი (ყოფილი ელისენი, ენისელს რომ ენათესავება ძღერადობით) და მოსული (თალა-დაბა). ზაქათალას ფიფინეთი ერქვა.

მერე რა, რომ ამ სოფლებში გამაკმადიანებული ქართველობა ცხოვრობს, ...

...

ბურჯს, უკვე კარგახანია შეუწყვილდა ქართული თეატრი, კახის რაიონის სოფელ ალიბეგლოში (ყოფილ ქათმისხევში) რომ დააარსა რეჟისორმა ანზორ დოლენჯაშვილმა და სცენიდან აახმიანა ინგილოელთა დიდი სატკივარი, შექმნა გულხალისიანი დასი, მრავალეროვანი რეპერტუარი, დედაქალაქსაც არაერთხელ აწვია თეატრი და აადელვა თბილისელები... თავადაც დაფუძნდა საინგილოში და საკუთარი კერა და დადაში გაიჩინა, ალიბეგლოში წმინდა ნინოს ეკლესიაც არის...

...დადაში — იგივე ზედაშე? — დიახ ოღონდ ის უფრო მომცრო ქვევრია, საპატიო სტუმარს მოუხდიან ხოლმე საინგილოში. საზედაშე კი დიდია და მას წმინდა რელიგიური დანიშნულება აქვს.

ლეგენდა: ძველ ჰერეთში, ისევე, როგორც სრულიად საქართველოში, ყოველ მაღლობზე სათვალთვალო კოშკია. სპარსეთთან სიახლოვის გამო ამ კოშკებზე ხშირად ანთებოდა ცეცხლი — მტრის შემოსევის ნიშნად. ...

...

სკოლას, ეროვნული შეგნების ამ უძლიერეს ...

ნანა ლვინიაძე.

სარედაქციო ფოსტიდან

საერთო საქმისათვის ყველას უნდა გვტკიოდეს გული

ამჟამად მთელი წლის მუშაობის შეჯამება მოგიწევს. 1995 წელი უთუოდ მეტად მძიმე, მაგრამ ხასიათით წინსვლის წელიწადი იყო, ბევრი რამ ახალი და ღირსსახსოვარი მოვლენის მოწმენი გავხდით. ახალი კონსტიტუციის მიღება, ლარის შემოღება, პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნები და სხვა მოვლენები ნათლად წარმოაჩენენ იმ სახიკეთო ძვრებს, რომლებიც ჩვენს ახალგაზრდულ სახელმწიფოში ხდება.

ერთი სიტყვით, დიდი სიახლეებისა და წინსვლის მაჩვენებელი ორიენტირები გვაქვს პოლიტიკის, ეკონომიკის დარგებში, საეროთ ცხოვრების ყველა სფეროში. მაგრამ ამასთან მრავალი პრობლემაა მოსაგვარებელი და გადასაწყვეტი. ...

...

ჩვენში რომ კომერციული სასწავლებლები უამრავ მომრავლდა, ალარავის უკვირს, ეს საქმე არავითარ კონტროლს აღარ ექვემდებარება. ...

...

შოთა ჩიქვინიძე.

კონტაქტები

ევროპამ საქართველოს კარი გაუღო

სამი წელი გავიდა, რაც ევროპის გაერთიანებამ საქართველოს დამოუკიდებლობა სცნო და მასთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა. ამ ხნის მანძილზე მან ჩვენ ქვეყანას 400 მილიონი დოლარის ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარება გაუწია. პარალელურად მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ევროგაერთიანებასთან საქართველოს დაახლოების თაობაზე. და აი, ბრიუსელში, მოლაპარაკების მეორე რაუნდზე პარაფირებული იქნა ახა- [illegible]

[illegible]

ვაჟა ძიძიგ.

გამოსათხოვარი

ალექსი მაჭავარიანი

ქართულმა მუსიკალურმა ხელოვნებამ უმძიმესი დანაკლისი განიცადა. 82 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი, ახალი ქართული მუსიკის კლასიკოსი, სახალხო არტისტი, პროფესორი ალექსი დავითის ძე მაჭავარიანი, რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული ჩვენი მუსიკალური ხელოვნების მრავალი ბრწყინვალე ფურცელი.

იშვიათი ნიჭით დაჯილდოებულმა შთაგონებულმა შემოქმედმა გარდაუვალი მხატვრული მნიშვნელობის ნაწარმოებები შექმნა, რომლებმაც სამუდამოდ დაიმკვიდრეს ადგილი ქართველი ხალხის კულტურულ საგანძურში.

განუმეორებელმა მელოდიურმა ხიბლმა და გამომსახველობამ, რომანტიკულმა მგზნებარებამ, დახვეწილმა არტისტიზმმა, რითაც აღბეჭდილია ა. მაჭავარიანის საუკეთესო ქმნილებები, ქართველი ხალხის დიდი სიყვარული მოიპოვა და შორს გაუთქვა სახელი კომპოზიტორს.

ალექსი მაჭავარიანი ძალზე მრავალმხრივი შემოქმედი გახლდათ: კომპოზიტორი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე და ყველა ამ სფეროში მან წარუშლელი კვალი დატოვა, ყველგან თქვა თავისი ავტორიტეტული სიტყვა.

ალექსი მაჭავარიანი დაიბადა 1913 წელს გორში. ბავშვობის წლებთან არის დაკავშირებული მომავალი კომპოზიტორის პირველი ძლიერი მუსიკალური შთაბეჭდილებები, მიღებული ხალხური სიმღერებისაგან.

1930 წელს ა. მაჭავარიანი შედის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, შემდეგ წარმატებით სწავლობს ასპირანტურაში ცნობილი რუსი მუსიკოსის პროფესორ პ. რიაზანოვის ხელმძღვანელობით. სტუდენტობის წლებშივე ახალგაზრდა კომპოზიტორი ქმნის ნაწარმოებებს, რომლებმაც მუსიკალური საზოგადოებრიობის ყურადღება მიიქციეს.

განსაკუთრებული ელვარებით გაიბრწყინა კომპოზიტორის ნიჭმა და ოსტატობამ შესანიშნავ სავიოლინო კონცერტში (1949), რომელიც სამართლიანად ითვლება ახალი ქართული მუსიკის მშვენებად, ნამდვილ შედევრად, იგი მრავალი ცნობილი მევიოლინეს რეპერტუარში შევიდა და საყოველთაო აღიარება მოუტანა მის ავტორს.

ალექსი მაჭავარიანის შემოქმედების მწვერვალია განთქმული ბალეტი „ოტელო" (1957), რომელიც ტრიუმფალური წარმატებით დაიდგა თბილისში, შემდგომ კი — ყოფილი საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის მრავალი სცენა შემოიარა. ბალეტი „ოტელო" მსოფლიო მუსიკალური „შექსპირიანის" ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშად არის აღიარებული, ხოლო მისი დადგმა და ოტელოს როლის შესრულება ვ. ჭაბუკიანის მიერ — საბალეტო ხელოვნების ერთ-ერთ მწვერვალად.

მოგვიანებით ა. მაჭავარიანმა შექმნა ბალეტი „ვეფხისტყაოსანი" (1974), რომელიც წარმატებით დაიდგა ლენინგრადის მარიინის თეატრის განთქმულ სცენაზე.

არ დარჩენილა ჟანრი, კომპოზიტორს არ შექმნას შესანიშნავი ნაწარმოებები. ზოგიერთი მათგანის ჩამოთვლაც კი იკმარებდა: ოპერები „დედა და შვილი", „ჰამლეტი", ორატორია „ჩემი სამშობლოს დღე", 7 სიმფონია, „ნ მონოლოგი" ვაჟა ფშაველას ლექსებზე, სიმებიანი კვარტეტები, კონცერტი ჩელოსათვის, ქართული ვოკალური ლირიკის ისეთი მარგალიტები, როგორებიცაა რომანსები „ცისა ფერს", „სხივო მზეთა მზის სახეო", „არ დაიდარდო, დედაო" და მრავალი სხვა.

ბოლო ხანებამდე კომპოზიტორი საოცარი შემოქმედებითი ენერგიით მუშაობდა და მის პორტფელში დარჩა არაერთი დასრულებული ნაწარმოები (მათ შორის ოპერები და ბალეტები), რომლებიც ელიან შესრულებას.

მუდმივი შემოქმედებითი წინსვლა და სახეცვლა — ასეთი იყო გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის შემოქმედებითი დევიზი.

ალექსი მაჭავარიანი აგრეთვე თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეც იყო. მრავალი წლის მანძილზე იგი ყოფილი სსრკ კომპოზიტორთა კავშირის მდივანი გახლდათ, ხოლო 1962-68 წლებში სათავეში ედგა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირს და ეს იყო ჩვენი საკომპოზიტორო ორგანიზაციის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი ხანა, როდესაც განხორციელდა მთელი რიგი ფუნდამენტური შემოქმედებითი და ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებები.

ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს გაგრძელდა პროფესორ მაჭავარიანის პედაგოგიური მოღვაწეობა კონსერვატორიაში, მან არაერთი ცნობილი კომპოზიტორი აღზარდა.

ალექსი მაჭავარიანის მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა ღირსეულად დაფასდა, თავის დროზე მას, პირველს ქართველ კომპოზიტორთაგან, მიენიჭა სსრკ სახალხო არტისტის წოდება, ხოლო რამდენიმე თვის წინ იგი დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით"; მინიჭებული ჰქონდა შოთა რუსთაველის სახელობის და სსრკ სახელმწიფო პრემიები, დაჯილდოებული იყო საბჭოთა და უცხოური ორდენებით.

ქართველი ხალხის კულტურულ მემკვიდრეობაში სამუდამოდ დამკვიდრდნენ ა. მაჭავარიანის შესანიშნავი ქმნილებები. შთაგონებული ხელოვანის, მუსიკის დიდოსტატის ალექსი მაჭავარიანის სახელს არასოდეს დაივიწყებს ქართველი ხალხი.

ედუარდ შევარდნაძე, ზურაბ ჟვანია, ნიკო ლეკიშვილი, რომან მიმინოშვილი, ვალერი ასათიანი, გიგა ლორთქიფანიძე, ბადრი შოშიტაიშვილი, ელგუჯა ამაშუკელი, მანანა ახმეტელი, იაკობ ბობოხიძე, ნოდარ გაბუნია, ირაკლი გეჯაძე, მერი დავითაშვილი, შალვა დავითაშვილი, ჯანსულ კახიძე, გიძინა კვერნაძე, იოსებ კეჭაყმაძე, ზურაბ კიკალეიშვილი, ზურაბ ლომიძე, სულხან ნასიძე, ნინო რამიშვილი, გულბათ ტორაძე, მელორ ტუხელაშვილი, სვეტლანა ქეცბა, ფელიქს ღლონტი, ალექსანდრე შავერზაშვილი, ვერა წიგნაძე.

თვალსაზრისი

განათლება კაპიტალდაბანდებისათვის ყველაზე ხელსაყრელი სფეროა

მშენებლობის პროცესში მყოფი საქართველოს სახელმწიფოებრიობა ახალ პრობლემებს სვამს ქვეყნის თითოეული სფეროს წინაშე. ამ პრობლემების გადაწყვეტას, მოწინავე ქვეყნების გამოცდილების გარდა, უცილობლად სჭირდება ჩვენი თავისებურებების და ქართული მეცნიერული აზრის მიღწევების გათვალისწინება. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-ტექნიკურ ინსტიტუტში განათლების სისტემასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ასეთ პრობლემაზე მიმდინარეობს მუშაობა, რომლის შესახებაც საუბრობს ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტის დირექტორი ალეკო ცინცაძე.

[illegible]

და წარმატების ორმოც პროცენტამდე ზრდას იძლევა.

ახლა, როცა უარყოფილია ცენტრალიზებული მართვის სოციალისტური მოდელი, დღის წესრიგში დგება განათლების სისტემის ახლებური ოპტიმალური მართვის, ეფექტიანი დაგეგმვისა და სტრატეგიული განვითარების პროგნოზირების საკითხები, [illegible]

[illegible] ტიტუტში მიმდინარეობს სწორედ განათლების სისტემის რაოდენობრივ და თვისობრივ მახასიათებელთა იდენტიფიკაციისა და პროგნოზირების სამუშაოები.

ამ სამუშაოთა ერთ-ერთი შედეგია ტექნიკურ უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტის დაარსება, რომლის სპეციალობებზე უკვე რამდენიმე წე- [illegible]

[illegible]

რუსუდან ხუციშვილი,
ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტის [illegible]

იუბილე

თანამედროვე ელექტროტექნიკური მეცნიერების ღირსეულ წარმომადგენელს, ინჟინერ-ენერგეტიკოსთა დაწლმოსილ მასწავლებელსა და აღმზრდელს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ზოგადი და თეორიული ელექტროტექნიკის კათედრის გამგეს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ პეტრე მერაბიშვილს დაბადების 60 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 35 წელი შეუსრულდა.

ღვაწლი კაცისა

არაწრფივ გარდამქმნელებიან წრედებში დინამიკური პროცესების კვლევის საინჟინრო მეთოდების დამუშავების საქმეში. 1982 წელს უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ელექტროდინამიკის ინსტიტუტში პ. მერაბიშვილმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, 1984 წელს კი მას პროფესორის წოდება მიენიჭა.

1982 წელს, საქართველოს მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, მოსკოვში მოღვაწე სხვა ცნობილ ქართველ მეცნიერებთან ერთად, პ. მერაბიშვილი სამუშაოდ გადმოიყვანეს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში [illegible]

[illegible] ლი და სამეცნიერო-ტექნიკური ბაზის განახლებისა და განვითარების საქმეს. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა და გამოიცა მრავალი სახელმძღვანელო და სასწავლო-მეთოდიკური ლიტერატურა ელექტროტექნიკის თეორიულ საფუძვლებსა და ზოგად ელექტროტექნიკაში. 1987 წელს ბატონი პეტრე სათავეში ჩაუდგა საკავშირო საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით ელექტროტექნიკის დარგში ჩამოყალიბებულ სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელ სპეციალიზებულ საბჭოს, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია ნაშრომ და პერ- [illegible]

მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა და სიმპოზიუმის მონაწილეა. 1991 წელს მიწვეული იყო ლექციების წასაკითხად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთის ტექნიკურ უნივერსიტეტში. გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი მეცნიერული შრომა, რომლებიც დაბეჭდილია ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის, ჩინეთის, რუსეთის, უკრაინის და სხვა ქვეყნების ფუნდამენტალურ ელექტროტექნიკურ სამეცნიერო ჟურნალებში. მისი ხელმძღვანელობით დაცულია ორი სადოქტორო და 10-ზე მეტი საკანდიდატო დისერტაცია. პროფესორი პ. მერაბიშვილი, როგორც სამთავრობო კომისიის წევრი, აქტიურად მონაწილეობს რესპუბლიკის ენერგეტიკის განვითარების ეროვნული პროგრამის შემუშავებაში. ამ მიმართულებით მის მიერ დაყენებული საკითხები ფრიად აქტუალურია და მათი განხორციელება ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგეტიკული კრიზისიდან გამოსვლას.

პროფესორ პ. მერაბიშვილის [illegible]

[illegible] რეგიონში, ქ. ახალციხეში გაიხსნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტი, რომელიც მოამზადებს საინჟინრო დარგის სპეციალისტებს მრავალეროვანი რეგიონის ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით. ბატონი პეტრე, როგორც ამ ფაკულტეტის დეკანი, განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდება სამცხე-ჯავახეთში ტექნიკური სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ჩამოყალიბებასა და მისი განვითარების საქმეს.

მეცნიერის მოღვაწეობა სცილდება ტექნიკური უნივერსიტეტის ფარგლებს. იგი არის თანამეგობრობის ქვეყნების უმაღლეს სასწავლებელთა სასწავლო-მეთოდიკური და სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოების წევრი ზოგად და თეორიულ ელექტროტექნიკაში, საქართველოს მინისტრთა კაბინეტთან არსებული სწავლულ ექსპერტთა საბჭოს წევრი, ელექტროენერგეტიკის დარგში სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს თავმჯდომარე.

პროფესორი პ. მერაბიშვილი მაღალი მოქალაქეობრივი პრინციპების მეცნიერი, პედაგოგი და აღმზრდელია. იგი განსაკუთრებული პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობს კოლეგებსა და სტუდენტ ახალგაზრდობაში.

რამაზ ხუროძე,
პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი.

დემი ლაოშვილი,
ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

ისტორია

როდის დაკარგეთ შეტრიალდა აფხაზეთი?

ვოლტერს აქვს გამონათქვამი: „ისტორია არის სიცრუე, რომელზედაც შეთანხმებულნი არიან ისტორიკოსებიო". მოსწრებული სიტყვაა, სიმართლისაგან არც თუ შორს მდგარი. ახლა წარმოიდგინეთ ისტორია, რომელზედაც ისტორიკოსები ვერ შეთანხმდნენ! ეს არის აფხაზეთის ისტორია.

უცხოური და საკუთარი პირველწყაროების სიმცირე, მათი არაკატეგორიული ხასიათი, ტერმინებისა და ტოპონიმების ეტიმოლოგიური გაურკვევლობა, მოსახლეობის აბორიგენული კონტინგენტის მიმართ ეთნო-იდეოლოგიური ქაოსი საშუალებას იძლეოდა ერთი და იგივე ფაქტების მიმართ დიამეტრალურად განსხვავებული დამოკიდებულებები და ინტერპრეტაციები ჩამოყალიბებულიყო. ასეთია დღეს „აფხაზეთის სამკუთხედის" მიმართ ისტორიული მეცნიერების ხედვა, კომპეტენტურობისაგან იმდენად შორს მდგარო, [illegible]

რა უდევს საფუძვლად ამ მიმართულებას?

მკითხველი ძნელად თუ დაიჯერებს, რომ ასეთის მტკიცებისათვის არავითარი უცხოური, ელინური ეპოქის პირველწყაროები არ არსებობს. თეორია ეყრდნობოდა:

ა) დასავლეთ საქართველოში „ფს" და „ფშ" ბგერათკომპლექსებიან საწყლო-სამდინარო ტოპონიმების არსებობას, ვინაიდან „ფსე" ადიღურად წყალია, „ფსუხუო" მდინარე და „ფშახუ" — ქვიშა, ლამი.

ბ) დასავლეთ საქართველოში „ყვა" ბგერათკომპლექსების შემცველ ტოპონიმების არსებობას, როგორებიცაა მალთაყვა, ბობოყვათი, ჯურუყვეთი, მურყვეთი, აგიდაყვა, აჭყვა და სხვა, ვინაიდან „ყვა" ადიღურად ნიშნავს შვილს.

გ) არსებულ. ძველი სამყაროს რიგ ავტორთა მითითებებს [illegible]

სა, სრულიად მოკლებულია აზრობრივ-ლოგიკურ საწყისებს და მხოლოდ ერთეულ სიტყვათა მსგავსების (ზოგჯერ არც თუ დამაჯერებელ) საფუძველზეა აგებული.

„ქართველურ-აფხაზური" მოდელის მომხრე და გამზიარებლები არიან ალექსანდრე ონიანი, როსტომ ჩხეიძე, ბიძინა თავაძე, ბიძინა ჭყონია და სხვანი.

ვაკრიტიკებ რა დამკვიდრებულ მეცნიერულ მიმდინარეობებს, ბუნებრივია ისმის საკითხი: რა სიახლით ვუპირისპირდები მათ?

ძველ ელინურ წყაროებში მითითებული ყველა ტერმინი, (გარდა სანიგისა თუ სანისა, რაც ნიშნავს ზანს), არ წარმოადგენს ეთნონიმურ სახელდებას. ყოველი მათგანი ქართული სიტყვიერებით იშიფრება აზრობრივად, როგორც გეორგიანული სამყაროს სამხაზღვრეო სისტემის არსებობასთან დაკავშირებული სიტყვები, ისტო- [illegible]

[illegible]

ვაჟა ქაჯაია.

(მასალები იბეჭდება)

ისტორიული

ექსპონატები მუზეუმში დაბრუნდა

ევროპაში სამწლიანი „მოგზაურობის“ შემდეგ, გორის ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმს დაუბრუნდა მემორიალური ნივთები, რომელიც თავის დროზე, ავსტრიაში გამოსაფენად წაიღო კულტურის სამინისტრომ და შემოქმედებით-საზოგადოებრივმა გაერთიანება „ქიმერიონმა“.

ცნობილია, რომ სტალინს უცხოეთი დიდ სიამეს არ ჰგვრიდა იმ სხვა რუსეთელი რევოლუციონერებისაგან განსხვავებით, რომლებიც წლობით ემიგრაციაში ყოფნას ამჯობინებდნენ. ამ მხრივ გამონაკლისია სტალინის ვენაში ჩასვლა 1918 წლის იანვარ-თებერვალში.

და აი, 80 წლის შემდეგ ვენაში ამჯერად ი. სტალინის სახლ-მუზეუმის ექსპონატები ჩაიტანეს. გორის სახლ-მუზეუმთან გაფორმებული ხელშეკრულების ძალით „ქიმერიონს“ ექსპონატები უნდა გაეტანა სხვადასხვა გამოფენაზე, იქიდან შემოსული მოგების ნაწილს კი სახლ-მუზეუმიც მიიღებდა. მაგრამ მოგება და დოლარები კი არა, „ქიმერიონი“ სულ მალე გაკოტრდა, გამოფენების ორგანიზაცია ვერ მოახერხა და გორიდან წაღებული ექსპონატები ვენის საბაჟოს საწყობებში გა-

[illegible]

მოწყალება, თავშესაფრის ბინადრებს

[illegible]

გურამ მამაიძე, „სრ“ საკ. კორ.

საავტო-საზღვაო გზა მუშაობა განახლდა

[illegible]

სოზარ კუპატაძე, „სრ“ საკ. კორ.

მეცნიერება

ამასწინათ ევროპის უროლოგთა ასოციაციამ დიდი შეფასება მისცა თბილისის ალექსანდრე წულუკიძის სახელობის უროლოგიის ინსტიტუტში შექმნილ გამოგონებას და მას „ტიფლის პაუჩი“ („თბილისური პარკუჭი“) უწოდა. ეს ქართველ უროლოგთა შრომის დიდი აღიარებაა.

ქართული უროლოგიური სკოლის შექმნა პროფესორ ალექსანდრე წულუკიძის სახელთან არის დაკავშირებული. იგი ისეთი რეზონანსის მეცნიერი იყო, რომ უროლოგთა მაშინდელ საკავშირო სამეცნიერო კონფერენციების დონეს მისი დასწრება-არდასწრებით განსაზღვრავდნენ, ვინაიდან იგი ყოველთვის რაიმე სიახლით წარსდგებოდა ხოლმე კოლეგების წინაშე და მეტად შთამბეჭდავი გამოსვლით აუდიტორიას იპყრობდა. ალექსანდრე წულუკიძის შემდგომ, დიდხანს ინსტიტუტს უძღვებოდა პროფესორი სოკრატ არშბა, რომელსაც ასევე დიდი წვლილი მიუძღვოდა ინსტიტუტის აღმავლობაში.

უროლოგიის ინსტიტუტში საერთაშორისო სტანდარტების დონეზეა სამეცნიერო თუ პრაქტიკული საქმიანობა, აქ შემუშავებული და დანერგილი სამკურნალო მეთოდებით ბევრი პრესტიჟული სამკურნალო ცენტრი იამაყებდა. ამჟამინდელი დირექტორი კი საქართველოს სამედიცინო აკადემიის წევრი, ნიუ-იორკის სამედიცინო აკადემიის საპატიო წევრი, პროფესორი ლაური მანაგაძე, უკვე ათი წელიწადია, ინსტიტუტს ხელმძღვანელობს. თავად 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და 4 გამოგონების ავტორს კოლექტივში ბევრი ღირსეული თანამდგომი და თანამოაზრე ჰყავს.

ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა ბატონ ლაური მანაგაძეს და „ტიფლის პაუჩის“ მთავარ შემოქმედს პროფესორ თემურ ჩიგოგიძეს.

[illegible]

სიახლე უროლოგიაში

ცია და 7-8 საათს გრძელდება. მხოლოდ საქმის სიყვარული, მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა თუ შეაძლებინებს ადამიანს ასეთ დაძაბულ შრომას გაუძლოს. საერთაშორისო აღიარების გარდა, გამოგონების ავტორებმა გრ. მუხაძის სახელობის ქირურგიული საზოგადოების მედლები და სიგელები დაიმსახურეს. ბატონი თემურის აღიარებაა ისიც, რომ, მისი განყოფილების პალატებში, რომ იტყვიან, ტევა არ არის.

— თქვენს ინსტიტუტში სხვა მიმართულებითაც მიმდინარეობს მუშაობა, მკურნალობა. რას გვეტყოდით?

ლაური მანაგაძე: საერთოდ უროლოგიაში ერთი პიროვნება ვერაფერს შეძლებს. ჩვენთან საკმაოდ ერთსულოვანი კოლექტივია მთავარი ექიმის თენგიზ კიდიას მეთაურობით. ამიტომაც არის, რომ ასეთ რთულ ეკონომიკურ პირობებშიც კი ჩვენთან ასეთი სულისკვეთებით მიმდინარეობს მუშაობა, ახალი მეთოდების შემუშავება. ყველა მათგანის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, არ შეიძლება არ ვახსენო დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილ-

[illegible]

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

სულიერება

ღმერთი მაღლიდან იყურება!

საგურამოში დაინტერესებულ კაცს ერთ ლამაზ ლეგენდას მოუყვებიან, უფრო სწორედ ლეგენდად ქცეულ სინამდვილეს, სადაც მთელი თავისი სიხადავით არის წარმოჩენილი მადლიერი ქართველი კაცის კეთილშობილება. ეს ლეგენდა კი შემდეგ ამბავს გადმოგვცემს: საგურამოს ველებზე საბატონო ყანაში ბეგარაზე მუშაობდნენ გლეხები, ნაშუადღევს თავიანთ ქმრებს დედაკაცებმა ჩამოაკითხეს, შეჭამანდით სავსე დიდი საზიარო ქვაბი მუხის ძირას მიდგეს და დაღლილ-დაქანცულ კაცებს დაწყებული სვრის ბოლომდე გატანაში მიეხმარნენ, შემდეგ კი სადილის მოლოდინში მუხის ქვეშ სახელდახელო სუფრას შემოუსხდნენ, მაგრამ დახით

აქცია სადილს, დედაკაცებმა კი ქვაბი, რომელშიც „უწმინდური ფრინველი“ ჩავარდა, გზის პირას გაიტანეს და გადააქციეს. მაგრამ, მოი, საკვირველებავ — შეჭამანდით სავსე ქვაბის ძირში დიდი შხამიანი გველი ჩაწოლილიყო და ყვავზე ადრე წაებილწა გლეხების სადილი. ხალხმა ამ ამბავში საკუთარი წერა — მწერლის სახე დალანდა. ბოლო განგების როლის აღმსრულებლად „უწმინდური ყვავი“ მიიჩნიეს, რადგან სწორედ იგი არ აძლევდა საშუალებას გლეხებს — „უხსენებლის“ მიერ წაბილწულ საჭმელს გამკარებოდნენ და აკი ბოლოს თავიც შესწირა ამ ამბავს.

მადლიერმა ხალხმა იმ მინდვრის თავში პატარა და კოხტა სა-

[illegible]

ბი გადაკეტეს. ყვავმა, რაკი იგრძნო თეფშზე ამოლებულ საჭმელს ფრთას ველარ გაჰკრავდა, პირი იბრუნა, ათუხთუხებულ შეჭამანდიან ქვაბში ჩაეშვა და ჩაიხარშა. დამძარებულმა ხალხმა ზურგი

პატარა ქანდაკებაში სამი თუ ხუთი კილოგრამი სპილენძის გარდა ვერაფერი დაინახა, რომელსაც, ალბათ, უკვე გაუყენებდა თურქეთის გზას. თუმცა დედაენის დიდებული ძეგლიდან ამოგლეჯილი „აი ია“-ც ხომ მხოლოდ რამოდენიმე კილოგრამ სპილენძს წარმოადგენდა იმ ვიღაც ვაიადამიანის თვალში, რომელმაც ასე უსულგულოდ გაწირა თითქმის სისხლით დაწერილი ქართული ანბანის ეს მშვენიერი სიმბოლო.

რისი ღირსია ერის ისტორიისა და წინაპართა ხსოვნის წამბილწავი კაცი?

ქრისტიანული ბუნებიდან გამომდინარე, ცუდს ამ ავუგ საქმეთა ჩამდენ კაცებსაც კი არ ვუ-

[illegible]

ქვლავ რეალური სახე დაუბრუნეს. ვილაც ხელმრუდმა კი არაფრად ჩააგდო არც წინაპართა ხსოვნა, არც თვით იმ არსის სიდიადე, რაც ამ ნამდვილ ლეგენდაში გაცისკროვნებულა და ყვავის ამ

მოსდებია, ეზო-გარემოს კი მხოლოდ ეკალ-ბარდები პატრონობენ.

ღმერთი მაღლიდან იყურება!

ანზორ სულიაური, „სრ“ საკ. კორ.

ამინდი

5 იანვარს

დასავლეთ საქართველოში ზოგან ღამით მოსალოდნელია ნალექი, ტემპერატურა ბარში — ღამით +4+9, დღისით +13 +18, მთაში ღამით +3—2, დღისით +5+10.

აღმოსავლეთ საქართველოში ბარში — ღამით 0+5, დღისით +5+10, მთაში — ღამით +2—3, დღისით 0+5.

თბილისში ტემპერატურა ღამით +1+3, დღისით— +8+10 გრადუსი.

ხსოვნა

იაგო ვარდოსანიძე

გარდაიცვალა იოვან (იაგო) ვარდოსანიძე, კაცი სათნო, კეთილშობილი, განათლებული, მრავლისშემძლე და გამკეთებელი, სიტყვაძვირი თავის ნამოქმედარზე, თავმდაბალი, ნატიფი ზრდილობითა და იუმორით აღსავსე, სოლოლაკის დიდ საძმოში რჩეულ ვაჟკაცთა შორის გაზრდილი ჭეშმარიტი თბილისელი, შესანიშნავი მეოჯახე.

იაგო ვარდოსანიძე დაიბადა 1928 წელს. თბილისის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციაში, რომლის ფურცლებზეც გამოირჩეოდა მისი დახვეწილი წერილები; იყო გამომცემლობა „ნაკადულის“ მთავარი რედაქტორი და მთელ თავის უნარს და სიყვარულს აქსოვდა ახალგაზრდული წიგნის გამოცემას.

თითქმის ოცდაათ წელიწადს იღვწოდა ქართული ენციკლოპედიის მთავარ სამეცნიერო რედაქციაში, იყო მისი ერთ-ერთი გამორჩეული ხელმძღვანელი და დამაარსებელი, მთავარი რედაქტორის მოადგილე — პასუხისმგებელი მდივანი. დიდი ღვაწლი დასდო პირველი ქართული ენციკლოპედიის გამოცემას, რისთვისაც საქართველოს სახელმწიფო პრემია დაიმსახურა. იყო

[illegible]

„მაკაბი“ თბილისსაც ამშვენებს

საქართველოში არის კალათბურთის გუნდი, თელ-ავივის „მაკაბის“ სეხნია თბილისის „მაკაბი“, ერთადერთი, რომელიც ქვეყნის უმაღლეს ლიგაში თამაშობს.

დაწვრილებით გუნდის შესახებ უფროსი მწვრთნელი ჯამლეთ ხუხაშვილი მოგვითხრობს:

— გუნდი შეიქმნა 5 წლის წინათ, ინიციატორი იყო მიხეილ ხუხაშვილი, რომელმაც შემოიკრიბა თავისი მეგობრები და დავაარსეთ „მაკაბი“. გუნდში თამაშობდნენ ქართველი და ქართველი ებრაელი ბიჭები. „მაკაბის“ კარი ყველასთვის ღია იყო და იქნება განურჩევლად ეროვნებისა.

— ორიოდ სიტყვით მოთამაშეთა შესახებ...

— ამ ხუთი წლის მანძილზე გუნდში ხდებოდა კალათბურთელთა „რეანიმაცია“. აქ თამაშობ-

დაიწყო დიდი კალათბურთის თამაში 18 წლის ორმეტრიანმა კალათბურთელმა ბობა შოშიტაიშვილმა. გუნდს ჰყავს ბომბარდირი — მიხეილ ხუხაშვილი, რომელიც მალხაზ ანდღულაძესთან ერთად, სამქულიანების ზუსტ ტყორცნებში უმაღლესი ლიგის სპორტსმენთა ათეულში ხვდება.

— რა ასაკის კალათბურთელებით არის გუნდი დაკომპლექტებული?

— ბიჭების უმრავლესობა 18-20 წლისანი არიან. ასე რომ, „მა-

[illegible]

რობა დიდი სიამოვნებით ისურვეს თემურ წიკლაურმა, შენგელი ფიცხელაურმა, მოსე დავარაშვილმა, თამაზ მაღლაკელიძემ, ილო მოშიაშვილმა, დავით შიმშილაშვილმა, თამაზ მამისთვალოვმა, კოტე მახარაძემ, დავით ქლიბაძემ და სხვებმა. ყველაზე დიდ დახმარებას გვიწევს კლუბის პრეზიდენტი რევაზ ბოთერაშვილი. სპორტის სასახლის დირექციამ კი უსასყიდლოდ ვარჯიშის ნება დაგვრთო.

„მაკაბიმ“ თავისი არსებობის მანძილზე მოიგო მრავალი საერთაშორისო ტურნირი. კიევში 1992 წელს გახდა ასეთი ტურნირის ჩემპიონი, ერთი წლის შემდეგ კი იმავე ტურნირზე დაიკავა III ადგილი. 1994 წელს პირვე-

[illegible]

საქალაქო ფოსტიდან

ფირმა „კაქტუსის“ პროტესტი

[illegible]

„ვაკე-91“-ის თასზე

[illegible]

მორიგე რედაქტორი ბონდო მძინარაშვილი.

გამომცემელი - შპს „პრესა“

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ც. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 66484. ტელ: 99-78-24. მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.